



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კოლუაშვილი ლევან გიორგის ძე



ლ. კოლუაშვილი

კოლუაშვილი ლევან გიორგის ძე (დ. 18. III. 1973, თბილისი), კინორეჟისორი, სცენარისტი. დაამთავრა კინემატოგრაფიის საკავშირეო სახელმწიფო ინ-ტის სადადგმო ფაკ-ტის სარეჟისორო განყ-ბა (მ. ხუციევის სახელოსნო, 1998). სწავლობდა ნიუ-იორკის (აშშ) უნ-ტის კინოფაკ-ტის მაგისტრატურაში (2002–04). 1992-იდან მუშაობდა ტელეკომპანია „იბერვიზიაში“ რეჟისორად და პროდიუსერად. გადაიღო მოკლემეტრაჟიანი ფილმები: „ბარი“, „ღირსეულად არყოფნა“ (1997), „2“ (1999), „გივი“ (2001), „გამოსწორება“ (2002), „ვალი“ (2004); დოკ. ფილმები: „ბეთლემი-2000“ (2000), „მამა და შვილი“ (2003), „სახლი“ (2004), „პატარა თეატრი ვაშინგტონში“ (2005), „ქალები საქართველოდან“ (2008). სრულმეტრაჟიანი მხატვრული

ფილმები: „ქუჩის დღეები“ [2010; ვისბადენის (გერმანია) საერთაშ. კინოფესტივალის მთ. პრიზი „ოქროს შროშანი“ და კრიტიკოსთა პრიზი აღმ. ევროპის ქვეყნების საერთაშ. კინოფესტივალზე (სერბეთი)], „შემთხვევითი პაემნები“ [2013; სოფიის (ბულგარეთი), ვილნიუსის (ლიტვა), ვისბადენის (გერმანია) საერთაშ. კინოფესტივალების პრიზები [2014; „მეოთხე ბრაიტონი“ [2021; ამავე წელს მიღებული აქვს პრიზები ტრაიბეკას (საუკეთესო სრულმეტრაჟიანი ფილმი) კოტბუსის („ფიპრესის“ ჟიურის პრიზი), საუდის არაბეთის წითელი ზღვის და ფრიბურგის (შვეიცარია) სკფ-ებზე].

მ. კერესელიძე